



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.93220914

თარიღი:01/04/2022

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის №28 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის №28 განკარგულების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ დანართი N1-ში და ამოღებული იქნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება, კერძოდ:

1. ქ. ლაგოდეხში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე, ყოფილი თამბაქოს ქარხნის- 1967 კვ.მ ადმინისტრაციული შენობა (შენობები: N1 - 518,2 კვ.მ; N2 - 229,10 კვ.მ; N3 - 20,3 კვ.მ) და მასზე დამაგრებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 54.01.54.188);
2. ქ. ლაგოდეხში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა - ნაგებობა და მასზე დამაგრებული- 1055 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა ს/კ 54.01.54.138. (შენობა: N1 - 509,80 კვ.მ; N2 - 96 კვ.მ);
3. სოფ. ჭიაურში მდებარე, ყოფილი ამბულატორიის შენობა ს/კ 54.06.57.010 და მასზე დამაგრებული -140 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა N1 - 140 კვ.მ);
4. ქ. ლაგოდეხში, ზაქათლის ქ. N44-ში მდებარე შენობის (ყოფილი N2 საშ. სკოლის, მე - 3 სართულზე მდებარე 2 ოთახი - 60,42 კვ.მ) ს/კ 54.01.56.222.

მუხლი2

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

